შ.პ.ს. „ღვინის ლაბორატორია“

შ.პ.ს. „ღვინის ლაბორატორია“ დაფუძნდა 2006 წლის აპრილში „საქართველოში ღვინის ხარისხის სისტემის ჩამოყალიბებისა და განვითარების ხელშემწყობი ფონდის“ მიერ, რომელიც თავის მხრივ დაარსდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მეღვინეობის კერძო სექტორის ერთობლივი ძალისხმევით; ყოველივე ამას კი, დიდი მატერიალური და ფინანსური დახმარება გაუწია გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებამ (GTZ). ლაბორატორია შესულია აღიარებული ორგანიზაციებისა და ლაბორატორიების ევროკავშირის ნუსხაში.

შ.პ.ს. „ღვინის ლაბორატორია“ აღჭურვილია თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. აქ გათვალისწინებულია სპეციალური სათავსოები, რითაც უზრუნველყოფილია ნიმუშებისა და ქიმიური რეაქტივების შენახვის საჭირო პირობები.

ლაბორატორიაში ფუნქციონირებს “ხარისხის სისტემა”, რომელიც უზრუნველყოფს გამოცდების შედეგების ობიექტურობასა და უტყუარობას. შექმნილია მაქსიმალურად დაცული, კონფიდენციალური, უნივერსალური მონაცემთა ბაზის სისტემა (LIMS), სადაც გათვალისწინებულია ყველა ნიუანსი ნიმუშის მიღებიდან, ანალიზის პასუხის გაცემის ჩათვლით.

ლაბორატორია მუშაობს, როგორც ევროპული და საერთაშორისო კანონმდებლობით გათვალისწინებული და დაშვებული მეთოდებით, ასევე აქვე შექმნილი, აპრობირებული და დოკუმენტალურად აღწერილი მეთოდიკებით.

ლაბორატორია დაკომპლექტებულია კონკურსის წესით შერჩეული კომპეტენტური და შესაბამისი განათლებისა და გამოცდილების მქონე სპეციალისტებით (ენოლოგები, ქიმიკოსები და ბიოლოგები).

შ.პ.ს. „ღვინის ლაბორატორია“ მოიცავს ყურძნისა და ყურძნისეული პროდუქტების ფიზიკო-ქიმიური და მიკრობიოლოგიური კვლევებისა და დეგუსტაციის სფეროებს, კერძოდ:

- ყურძნისა და ყურძნისეული პროდუქტების (ყურძნის წვენი, შუშხუნა და ცქრიალა ღვინოები, არყები, ლიქიორები, რექტიფიცირებული ეთილის სპირიტი, ბრენდები და სხვა ალკოჰოლიანი სასმელები) ქიმიური და მიკრობიოლოგიური ანალიზები ქრომატოგრაფიული (HPLC, GC, DC), სპექტროსკოპული (AAS, UV, IR, γ-β) და სხვა თანამედროვე კვლევის მეთოდების გამოყენებით, იმ მახასიათებლებზე, რომლებიც შეესაბამება სხვადასხვა სასერთიფიკაციო (ევრო-ექსპორტი, დსთ-ექსპორტი, ფალსიფიკაცია და სხვა) მოთხოვნას.
- ასევე დამატებითი მახასიათებლების განსაზღვრა, რასაც ითვალისწინებს კონკრეტული განმცხადებლის მოთხოვნა (პესტიციდები, სხვადასხვა ტოქსიური ნივთიერება, მიკრობიოლოგიური კონტროლი, მიკროსკოპული კვლევა და სხვა).
- სახელმწიფო დაკვეთები სურსათის უვნებლობის სამსახურიდან: ალკოჰოლური სასმელების კონტროლი უვნებლობის კუთხით;
- ენოლოგიური პრობლემების მოგვარება;
- მუშაობა სადეგუსტაციო კომისიასთან;
- მეღვინეობის დარგში კონსულტაციები და პროფესიული დახმარებების გაწევა (ღვინის კანონმდებლობის, ღვინის დამუშავების და ღვინის დაავადებების გამოსწორების შესახებ და სხვა.), როგორც მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის, ასევე კერძო პირთათვის, საჭიროების შემთხვევაში ადგილზე ჩასვლით;
- სამეცნიერო საქმიანობა, რაც გამოიხატება ახალი მეთოდების განვითარებაში, საქართველოში გავრცელებული ვაზის ჯიშებისა და მათგან ნაწარმოები ღვინოების მონაცემთა ბაზების შედგენასა და ტექნოლოგიური პროცესების დამუშავებაში;
- თვითკონტროლის მიზნით სისტემატიური მონაწილეობა საერთაშორისო წრიულ გამოცდებში ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების სფეროში.

შ.პ.ს. „ღვინის ლაბორატორია“ მზად არის ითანამშრომლოს ყველა დაინტერესებულ პირთან თუ ორგანიზაციასთან აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით და გაუზიაროს თავისი ცოდნა და გამოცდილება.